GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 39
თარიღი: 13 02 2015 წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF GEORGIA

KA060185485193615

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. N6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moe.gov.ge

 # 711 **10 / თებერვალი / 2015 წ.**

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის"
დირექტორს ბატონ სერგი კაპანაძეს

ბატონო სერგი,

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მიმდინარე წლის 28 იანვარს შემოსული №24 წერილის პასუხად, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გაცნობებთ, რომ

1)2014 წელს შპს „RMG Gold"-ზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია არ გაცემულა. საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის დეპარტამენტის საექსპერტო საბჭოს 1994 წლის 7 აპრილის სხდომის გადაწყვეტილებით საქართველო-ავსტრალიის ერთობლივი საწარმო შპს „ტრანს-ჯორჯიენ რესურსეს"-ზე 20 წლის ვადით გაიცა წიაღით სარგებლობის №0010 ლიცენზია (სერია 53 ტიპი VI ABC), რომელიც საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 11 თებერვლის №1-1/291 ბრძანების საფუძველზე გადაფორმდა შპს „კვარციტზე", ხოლო საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 30 ოქტომბრის №13/544 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა შპს „კვარციტის" საფირმო სახელწოდების ცვლილება შპს „RMG GOLD"-ით.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2597 განკარგულებით და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2014 წლის 31 დეკემბრის №478/ს ბრძანების საფუძველზე შპს „RMG Gold"-ზე (ს/კ 225359947) გაცემულ წიაღით სარგებლობის (სერია 53 №0010 ტიპი VI A B C) ლიცენზიას გაუგრძელდა მოქმედების ვადა 2020 წლის 01 იანვრამდე.

2) წიაღით სარგებლობის №0010 (სერია 53 ტიპი VI ABC) ლიცენზიისთვის ანგარიშსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და სამინისტროს ცენტრალურ აპარატში არ ინახება. აქვე გაცნობებთ, რომ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონი და „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულება არ ითვალისწინებს ლიცენზიის ვადის გაგრძელების დროს დამატებითი თანხის გადახდას.

3) რაც შეეხება მოსაპოვებელი წიაღისეულის რაოდენობას, შპს „RMG Gold"-ზე (ს/კ 225359947) გაცემულ წიაღით სარგებლობის (სერია 53 №0010 ტიპი VI A B C) ლიცენზიით მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის ოდენობა ამ ეტაპზე განსაზღვრული არ არის.

იხილეთ დანართი 4 გვერდი

პატივისცემით,

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის
უფროსის (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
პასუხისმგებელი პირი) მოვალეობის
შემსრულებელი

ეკატერინე ბენდელიანი

ლიცენზია

ზიანით სარგებლობაზე

ბოლნისის ჯგუფის ცნობილი საბადოების წიალისეულის
გეოლოგიური შესწავლა-მოძებნაზე

სერია 53 ნომერი 0010 ლიცენზიის ტიპი VI A B C

გაეცა საქართველო-ავსტრალიის ერთობლივ საწარმო -შ.პ.ს.

„ტრანს-ჯორჯიან რესურსეს"

ლიცენზიის ობიექტის ადგილმდებარეობა (დასახლებული პუნქტი, რაიონი, ავტონომიური რესპუბლიკა) ბოლნისის, დმანისის და მარნეულის

ადმინისტრაციული რაიონები

ლიცენზიის ობიექტის საერთაშორისო საზღვრები, კოორდინატები, გეგმები, ჭრილები შეყვანილია დანართებში № 5

წიალის სარეგისტრაციოს დაკავშირებული მიწის მინაკუთვნი გამოყოფილია

მიერ

(ორგანის დასახელება, რომელმაც გასცა უფლება)

ლიცენზიის მოქმედების ხანგრძლივობა (ვადები და საექსპლუატაციო სამუშაოების დაწყების თარიღი) 20 წელი 1994 წლის 7 აპრილიდან

2014 წლის 7 აპრილამდე

ლიცენზიის განუყოფელ შემადგენელი ნაწილს მიეკუთვნება დანართები
№1-22

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი

/ზ. ჭეიშვილი/

ხელმოწერა

ბ. ა.

ს.ნ.19-0002

ლიცენზიის მიმღები საწარმოს უფლებამოსილი წარმომადგენელი

/ზ.ოსტროვსკი/

ხელმოწერა

ბ. ა.

თარიღი 30.12.96

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

KARR0116892965714

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 478/ს

31 / დეკემბერი / 2014 წ.

შპს „RMG Gold"-ზე გაცემული ნიაღით სარგებლობის (სერია 53 №0010 ტიპი VI A B C) ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 6[1] მუხლის მე-3 პუნქტის, შპს „RMG Gold"-ის 2014 წლის 29 დეკემბრის №469 წერილის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2597 განკარგულების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შპს „RMG Gold"-ზე (ს/კ 225359947) გაცემულ ნიაღით სარგებლობის (სერია 53 №0010 ტიპი VI A B C) ლიცენზიას მოქმედების ვადა გაუგრძელდეს 2020 წლის 01 იანვრამდე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2597 განკარგულებით „შპს „RMG Gold"-ზე გაცემული ნიაღით სარგებლობის (სერია 53 №0010 ტიპი VI A B C) ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე" გათვალისწინებული კოორდინატების ფარგლებში;
2. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში ცვლილებების შეტანა ამ ბრძანების შესაბამისად;
3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში (თბილისი, გულუას ქ. №6), ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

გივი ჩოჩია

საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№2597 2014 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

შპს „RMG Gold"-ზე გაცემული ჩიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტისა და „სასარგებლო ჩიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 61 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს, შპს „RMG Gold"-ზე გაცემული ჩიაღით სარგებლობის ლიცენზიის (სერია 53, №0010, ტიპი VI A B C) მოქმედების ვადის 2020 წლის 1 იანვრამდე გაგრძელების თაობაზე, შემდეგი X და Y კოორდინატების ფარგლებში:

№	X	Y
1	449177	4581925

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 22688
31 12 2014 წ.

2	449477	4581925
3	449177	4581625
4	449470	4581670
5	449433	4581625
S=9.0 ha		
WGS – 1984.		

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი